პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 230 (13614)

შაბათი, 8 ოქტომბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ᲓᲘᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲡ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲗᲐᲜ Გ. ᲐᲖᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲐᲮᲐᲚᲘ, დიდი ხუთწლედის პირველი წელი სოფლის მეურნეობისათვის მეტად პირველი გამოდგა. დღეები კი არა, თვეები ისე გავიდა, რომ ალაზნის ველს წვიმის წვეთი არ უნახავს. ბუნების კაპრიზების დასაძლევად მშრომელებს დიდი შრომის გაწევა მოუხდათ. გურჯაანის რაიონის ველ-მინდვრების, ბაღების, მეცხოველეობის მკლავმოუღლელმა მუშაკებმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი გალდებულების გასანაღდებლად ძალღონე არ დაზოგეს. შრომა დაუფასდათ, ყველგან წარმატებანი აქოავლეს, განსაკუთრებით მევენახეებმა იმჯამაცეს.

— „სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღისათვის", — განაცხადა „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" კორესპონდენტთან საუბარში პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა Გ. ᲐᲖᲐᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ. — მევენახეებმა საამშობლოს დიდი გამარჯვება უპატაკეს. **გეგმით სახელმწიფოსათვის 33.840 ტონა ყურძენი უნდა ჩაბარებინათ ფაქტიურად 38.000 ტონა მოკრიფეს და ჩაბარეს.**

ამ წარმატებაში ბევრს მიუძღვის წვლილი. ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ კოლმეურნეობა „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ". რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი Დ. ᲛᲐᲛᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ხელმძღვანელობს, გეგმით გათვალისწინებული 2.750 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე 2.850 ტონა ყურძენი მიჰყიდა. განსაკუთრებით ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს ბრიგადებმა, რომლებსაც პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ᲨᲝᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სოციალისტური შრომის გმირი მ. ᲛᲔᲥᲕᲔᲠᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ ხელმძღვანელობენ.

ᲕᲐᲮᲘᲡᲣᲜᲘᲡ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი Ვ. ᲣᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პარტიული ორგანიზაციის მდივანი Გ. ᲒᲝᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ) გეგმით გათვალისწინებული 1.550 ტონის ნაცვლად 1.580 ტონა ყურძენი შიჰყიდა სამშობლოს. Ქ. ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე Ვ. ᲫᲘᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. ᲙᲘᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ) სახელმწიფოს უკვე 780 ტონა ყურძენი მიჰყიდა, გეგმა კი 735 ტონას ითვალისწინებდა.

სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების საქმეში დაწინაურდნენ აგრეთვე ᲙᲐᲫᲠᲘᲡᲘᲡ კიროვის სახელობის, ᲓᲐᲠᲩᲘᲗᲘᲡ და სხვა კოლმეურნეობები.

უხვი შემოდგომაა საბჭოთა მეურნეობების ზეგრეშიც. ᲛᲣᲧᲣᲜᲘᲡ საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. იაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი Გ. ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ) უკვე ოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა სამი ათას ტონაზე მეტი ყურძენი. შრომის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი Ვ. ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პარტიული კომიტეტის მდივანი Გ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ) სახელმწიფოს ჩაბარა 1.500 ტონა ყურძენი, ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი თ. ᲡᲔᲠᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პარტიული კომიტეტის მდივანი Გ. ᲭᲘᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ) — 1.300 ტონა და სხვ.

სახელმწიფოსთვის ყურძნის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულებაში თავიანთი წვლილი შეტანეს კოლმეურნეობებმა და მეშვა-მოსამსახურეებმა. ძირითა საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებულ ყურძნის დიდ ნაწილს საამშობლოს აბარებენ. ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ კოლმეურნეობა „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ" წევრმა ი. ᲮᲐᲐᲙᲝᲕᲛᲐ 70 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს. მის საფასურად 3.500 მანეთი მიიღო. Ჯ. ᲧᲐᲕᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ 60 ცენტნერი ყურძენი მიუწონა ღვინის ქარხანას, Ს. ᲐᲛᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ — 59 ცენტნერი, Გ. ᲢᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ — 47 ცენტნერი და სხვ.

დიდ შრომას ეწევიან ღვინის ქარხნების კოლექტივები. გურჯაანის ღვინის ქარხანამ (დირექტორი Გ. ᲞᲐᲠᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ) გეგმით გათვალისწინებული 6.820 ტონის ნაცვლად უკვე 7.500 ტონა ყურძენი მიიღო და გადაამუშავა. ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ ღვინის ქარხანამ (დირექტორი Გ. ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ) გეგმის გადამეტებით ათასი ტონა ყურძენი გადაამუშავა, მუკუზნის № 1 ღვინის ქარხანამ (დირექტორი Ვ. ᲨᲐᲕᲒᲣᲚᲘᲫᲔ) — 900 ტონა.. ასევე ხასახელოდ შრომობენ ველისციხის (დირექტორი Ვ. ᲮᲘᲜᲝᲠᲣᲚᲘᲫᲔ), მუკუზნის № 2 (დირექტორი Ს. ᲣᲖᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ), შრომის (დირექტორი Გ. ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ) და სხვა ღვინის ქარხნები.

ალაზნის ველზე რთველი გრძელდება. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საამშობლოს კიდევ ათასობით ტონა ყურძენს მოსცემენ.

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	გეგმა (ტონობით)	შესრულება (ტონობით)	გეგმის შესრულების პროცენტი
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ	33.840	34.064	100,7
ᲡᲘᲦᲜᲐᲮᲘᲡ	10.630	12.804	120,4
ᲧᲕᲘᲗᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ	3.800	5.759	151,5
ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ	21.950	15.172	69,1
ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ	7.865	3.126	42,4
ᲧᲐᲠᲐᲠᲘᲡ	11.110	11.219	100,1
ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ	1.500	572	38,1
ᲡᲐᲒᲐᲠᲯᲝᲡ	4.950	6.130	123
ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ	4.288	3.044	71,5
ᲫᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ	4.105	4.105	100
ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ	4.700	2.058	50,7
ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ	3.242	1.499	46,2
ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ	150	4	2,7
ᲗᲘᲗᲝᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ*	300	—	—
ᲙᲐᲡᲞᲘᲡ	4.049	—	—
ᲒᲝᲠᲘᲡ	3.440	—	—
ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ	1.555	158	3,9
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ	187	—	—
ᲥᲐᲠᲐᲚᲘᲡ	410	—	—
ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ	4.100	—	—
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ	15.170	168	1
ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ	9.100	44	0,5
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ	4.380	531	12,1
ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ	1.100	—	—
ᲫᲣᲘᲑᲣᲚᲘᲡ	200	—	—
ᲧᲕᲐᲚᲪᲮᲘᲡ	2.540	—	—
ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲯᲘᲡ	392	—	—
ᲧᲣᲚᲣᲥᲘᲫᲘᲡ	250	—	—
ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ	5.150	50	0,8
ᲕᲐᲜᲘᲡ	5.700	—	—
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ	710	—	—
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ	165	—	—
ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ	100	—	—
ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ	902	—	—
ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ	885	—	—
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ	705	—	—
ᲜᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ	1.510	—	—
ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ	712	—	—
ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ	3.4[illegible]	1.845	53,5
ᲝᲜᲘᲡ	300	—	—
ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ	3.200	—	—
ᲐᲬᲣᲮᲐᲗᲘᲡ ᲐᲡᲣᲠ	3.488	—	—
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲠ	700	—	—
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲚᲥᲘ	1.108	—	—
ᲡᲣᲚ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ	190.000	101.872	53,5
ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ ᲛᲝᲙᲠᲔᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ	—	68.185	27,4

*) მთელ რიგ რაიონებში ყურძნის კრეფა არ დაუწყიათ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ წარმატებებით აღნიშნავენ საქართველოს მევენახენი სახიხარულო დღესასწაულს — სოფლის მეურნეობის მუშაკის სრულიად საკავშირო დღეს. რთველი მიმდინარეობს სწრაფად. ორგანიზებულად. კახეთის ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, სადაც რთველი ადრე იწყება, ვიდრე რესპუბლიკის სხვა რაიონებში, უკვე შეასრულა დამზადების წლიური გეგმები და გეგმის გადაჭარბებით აბარებს სახელმწიფოს ყურძენს.

ვიდაზე ადრე წლიური გეგმები პირველებმა შეასრულეს გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლის, ხაგარეჯოს, წითელწყაროს, მარნეულის რაიონებმა.

წარმატებით მიმდინარეობს რთველი და ყურძნის დამზადება გარდაბნის, თელავის, ბოლნისის, მცხეთის, ახმეტის, ამბროლაურისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

7 ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში დამზადებულია 101.872 ტონა ყურძენი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 53,5 პროცენტს — 38.738 ტონით მეტს, ვიდრე შარშან იყო დამზადებული ამ დროისათვის.

„სამრეწველო" ღვინის ქარხნები შეუფერხებლად იღებენ და ამუშავებენ დიდძალ ნედლეულს.

რთველი წარმატებით მიმდინარეობს. (საქდესი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: რთველი გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობა „ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲡ" ვენახებში. წინა პლანზე ბრიგადირი ა. შოშიაშვილი.

ფოტო Გ. გოგოხიასი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲫᲝᲑᲐ

ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝ შრომითი წარმატებებით ეგებებიან სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღეს მარნეულის რაიონის მშრომელები. 7 ოქტომბრს რაიონის მევენახეებმა გაგვახარეს. მათ ენერგია, ცოდნა არ დაზოგეს უხვი მოსავლის მიღებისათვის. სახელმწიფოს მიეყიდა 4.200 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.103 ტონისა, — აცნობებს „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" რედაქციას პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი შ. ᲗᲘᲛᲘᲡᲐᲫᲔ განსაკუთრებით თავი ისახელა ᲐᲚᲒᲔᲗᲘᲡ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 1.450 ტონა ყურძენი ნაცვლად 1.200 ტონისა. ალგეთელები ყურძნის ჩაბარებას განაგრძობენ. ყურძნის ჩაბარების გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხრამის, მუდანლოს, სადახლოს და სხვა მეურნეობებმა.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზეიმის აღსანიშნავად მარნეულელმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს **ᲑᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ** სახელმწიფოს მიჰყიდონ 2.000 ტონა ყურძენი.

ხუთწლედის პირველ წელს პირველი წარმატება მსვლელ-მთესველებმა მოიპოვეს. სახელმწიფოს მისცეს გეგმაზე 2.500 ტონით მეტი ბორბალი. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ყაზანლიყის ვარდისა და რეჰანის მოყვანის გეგმები. რაიონში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო სამუშაოები.

ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲔᲚᲗᲐ ᲜᲔᲚᲘᲚᲘ

ᲞᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲙᲣᲗᲐᲢᲘᲡᲘᲡ ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ველს მოიწიეს მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი, ორგანიზებულად აიღეს იგი და ჩარიცხეს **ᲐᲮᲚᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ.**

ოლქის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა კურის მისალებ პუნქტებს ჩააბარეს 4.348 ათასი ტონა (265,5 მილიონი ფუთი) მარცვალი, რითაც მნიშვნელოვნად გადააჭარბეს 1966 წლის გეგმას. საამშობლომ მიიღო 4.045 ათასი ტონა მაღალი ხარისხის ხორბალი.

სახელმწიფოსათვის კურის მიყიდვა გრძელდება.

3-7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ მიმდინარეობდა პოესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი-სემინარი, რომელიც მოიწვია სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ კომიტეტმა, თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების მუშაკები, ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გაზეთების რედაქტორები, ცენტრალური და რესპუბლიკური თეორიული და ზოგადპოლიტიკური ჟურნალების რედაქტორები, ცენტრალური რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტების თავმჯდომარეები, სატელევიზიო სტუდიების დირექტორები, საოქესის მუშაკები და რესპუბლიკური დეპეშათა საინფორმაციო დირექტორები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა სიტყვის კომიტეტის მუშაკები და ბეჭდვითი სიტყვის რესპუბლიკური კომიტეტების ხელმძღვანელები, ცენტრალური და რესპუბლიკურ გამომცემლობათა დირექტორები, დიდ პოლიგრაფიულ საწარმოთა და წიგნის საკავშირო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ცენტრალური ადგილობრივი ორგანიზაციებისა და უწყებების მუშაკები.

მოხსენება — პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ამოცანები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ — გააკეთა სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილემ ტ. ᲙᲘᲠᲘᲩᲝᲙᲝᲛᲘᲜᲘᲡ.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ვრეზი მოხსენებები: გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორის მ. ᲨᲘᲛᲘᲜᲘᲡᲘᲡ — გაზეთი პარტიული მუშაობის ლენინური სტილის აქტიური პროპაგანდისტია; გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორის ლ. ᲗᲝᲚᲣᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ — მშრომელთა ზნეობრივი აღზრდის პრობლემები და პრესა; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ნ. ᲛᲘᲡᲘᲐᲪᲘᲜᲘᲡ — როგორ მუშაობს რადიო და ტელევიზია სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის; საოქესის გენერალური დირექტორის დ. ᲐᲐ. ᲒᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘᲡᲐ — ინფორმაცია და მისი როლი ხალხის იდეოლოგიურ აღზრდაში; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის ნ. Ა. ᲛᲘᲮᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐ — ჩვენს ქვეყანაში საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარებისა და ბეჭდვითი სიტყვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი; „ახალი ამბების" საagენტოს გენერალური დირექტორის ბ. ᲚᲐᲠᲘᲩᲝᲕᲘᲡᲐ — „ახალი ამბების" საagენტოს მუშაობის შესახებ; გაზეთ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲯᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ" მთავარი რედაქტორის Ა. ᲤᲐ. ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘᲡᲐ — გაზეთის წამყვანი თემებია სოფლის მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრების, კულტურის საკითხები; „ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ" გაზეთის „ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ" მთავარი რედაქტორის Ა. ᲓᲐ. ᲞᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲡᲐ — ადგილობრივი ინიციატივის, ადამიანის აღზრდა-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲝᲠᲘᲜᲘ რეფორმის პირობებში; „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲯᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ" მთავარი რედაქტორის Ა. ᲓᲐ. ᲞᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲡᲐ — ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ; „ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ" მთავარი რედაქტორის Ა. ᲓᲐ. ᲞᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲡᲐ — ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ; „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲯᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ" მთავარი რედაქტორის Გ. ᲓᲐ. ᲗᲐᲚᲐᲕᲠᲘᲫᲘᲡᲐ — ᲒᲐᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ; „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲯᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ" მთავარი რედაქტორის Გ. ᲓᲐ. ᲗᲐᲚᲐᲕᲠᲘᲫᲘᲡᲐ — ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ; „ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ" მთავარი რედაქტორის Გ. ᲓᲐ. ᲞᲐᲜᲐᲩᲘᲜᲘᲡᲐ — ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ; „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲜᲐᲯᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ" მთავარი რედაქტორის Გ. ᲓᲐ. ᲗᲐᲚᲐᲕᲠᲘᲫᲘᲡᲐ — ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨ

ᲮᲕᲐᲚ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲔᲐ!

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲮᲘᲠᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲕᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲓᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛ

საერთაშორისო ცხოვრება

„ხუნვეიბინები“ „მოქმედებენ“

პროტესტი

კაენი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავთა დიდი ჯგუფები, რომლებსაც ბაზა აქვთ მე-7 ფლოტის ავიოსნებზე და სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში, გუშინ არაერთხელ შემოიჭრნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ობიექტებს ნგეანის, ოსანამოის, ნამპის, ჰაიზიონგის, ჰატეის, ქუანგნამის, ჰოაბინისა და შონლის პროვინციებში.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკელ იმპერიალისტთა ახალი აგრესიული აქტის გამო ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ დღეს პროტესტი გაუგზავნა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას.

ჩამოაგდეს თვითმფრინავი

ჰანოი, 6 ოქტომბერი (საკდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის საჰაერო თავდაცვის ნაწილებმა დღეს ოხანბოის პროვინციის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ერთი ამერიკული თვითმფრინავი.

როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოგდებულ ამერიკულ თვითმფრინავთა საერთო რიცხვმა 1.479-ს მიაღწია.

კვლავ იყენებენ მომწამვლელ ნივთიერებებს

კაენი, 7 ოქტომბერი (საკდესი). 1964 წლის დამდეგიდან დღემდე 16,5 ათასზე მეტი კაცი დაშავდა ნამბოს პროვინციის სამხრეთ ნაწილის მარტო ერთ რაიონში ამერიკის მხედრიონის მიერ ზამბმიმიკატების გამოყენების შედეგად. საგრეთ ზარალი, რაც მოსახლეობას ზამბმჭიმიკატების გამოყენების შედეგად მოუვიდა, აღემატება 140 მილიონ სამხრეთ ვიეტნამურ პიასტრს.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებული ქიმიური ომის მსხვერპლთა შესახებ და აღნიშნავს, რომ დასახლებული პუნქტების ბარბაროსულ დაბომბვასთან ერთად ამერიკელი დამსჯელები „ქიმიურად ამუშავებენ“ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოსვდებათ — ჭვებს, კვების პროდუქტებს, ბრინჯის პლანტაციებს, ბალებს. ასეთი ოპერაციების შედეგად მარტო სამ თვეში — ანტარაში, ლონგდიენდონსა და ლონგდიენტაიში 341 ბალები, მათ შორის 130 ბავშვი, გახდა მომწამვლელ ნივთიერებათა მასობრივი გამოყენების მსხვერპლი.

სტუდენტთა მღელვარება

დელი, 7 ოქტომბერი (საკდესი). ინდოეთის სხვადასხვა რაიონში სტუდენტთა მღელვარება გრძელდება. უტარ პრადეშის შტატში მღელვარება მოედო ქალაქებს დეხრადუნს, მირუტს, ფიროზაბადსა და აგრის ოლქის მთელ რიგ რაიონებს. სამშვიდე არ არის კანპურსა და ალაჰაბადის ოლქებშიც.

გუშინ, ნათქვამია პრესის ცნობებში, პოლიციამ სროლა აუტეხა სტუდენტებს დეხრადუნსა და კიდარალში.

ბიჰარის შტატში მღელვარება მოედო ქალაქებს რანჩის, გაიას, ჰაზარიბაგის და მთელ რიგ სხვა აგგლებს.

პროექტი საბჭოთა ხელშეკრულებისა კოსმოსის კვლევისა და გამოყენების პრინციპების შესახებ

ნიუ-იორკი 7 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება:

გუშინ აქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური დოკუმენტის სახით გამოაქვეყნეს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარდგენილი პროექტი ხელშეკრულებისა „კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებაში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ“. ხელშეკრულების პროექტი წარდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიის განსახილველად დღის წესრიგის შესაბამის პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა.

ვიეტნამში ამერიკული ომის ესკალაცია.

ნახატი კანადის გაზეთ „ოტავა სიტიზენიდან“.

კოსმოსის კვლევისა და გამოყენების პრინციპების ხელშეკრულების დადება თანამედროვეობის ერთ-ერთი უაღრესად არსებითი ამოცანაა მაშინ, როცა კაცობრიობა შეუდგა კოსმოსის წარმატებით დაპყრობას. ყველა ქვეყნის ხალხები დაინტერესებული არიან, რომ კოსმოსის ათვისება არ უქმნიდეს საფრთხეს ცალკეულ ქვეყნებს, ქვეყნების ჯგუფს ან კაცობრიობას მთლიანად. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ უნდა გამოირიცხოს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ კოსმოსურ სივრცეში გაიყვანონ ატომური იარაღი ან განალაგონ იგი ციურ სხეულებზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომელიც 1963 წლის ოქტომბერში მიიღეს საბჭოთა კავშირის ინიციატივით კრძალავს ატომური იარაღის გაყვანას ორბიტაზე დედამიწის გარშემო და ციურ სხეულებზე განლაგებას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იყოს დაიდოს ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იმის შესახებ, თუ რა პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად საქმიანობას კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებაში. ასეთი ხელშეკრულება ჯერ არ არის დადებული ზოგიერთი ქვეყნის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის შედეგად. წარდგენა რა გენერალური ასამბლეის განსახილველად ხელშეკრულების გადასინჯული პროექტი, საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს მისწრაფებით მაქსიმალურად დაჩქაროს შეთანხმების მიღწევა. ხელშეკრულების გადასინჯული პროექტის შემუშავებისას საბჭოთა დელეგაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსის კომიტეტში ფართო კონსულტაციები ჰქონდათ სხვა სოციალისტური სახელმწიფოების, აფრიკისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლებთან, ავრეთვე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან.

გათვალისწინა რა კომიტეტის წევრთა აზრი, საბჭოთა დელეგაციამ რამდენჯერმე შეცვალა, კერძოდ, პუნქტი, რომელიც ეხება კოსმოსური ობიექტების ფრენის თვალთვალის უზრუნველყოფას.

„რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას კოსმოსური სივრცის, კერძოდ მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებაში, ამ ხელშეკრულების მიზნების შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები, — ნათქვამია საბჭოთა პროექტში, — თანასწორი პირობების საფუძველზე განიხილავენ ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა თხოვნებს იმის შესახებ, რომ მიეცეთ მათ შესაძლებლობა უთვალთვალონ ამ სახელმწიფოების მიერ გაშვებული კოსმოსური ობიექტების ფრენას“.

მდგომარეობა ნიგერიაში

ლონდონი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). ნიგერიის ჩრდილოეთ ოლქის სამხედრო მთავრობამ გამოაცხადა, რომ გაუქმებულია კომენდანტის საათი ორ ქალაქში — კადუნასა და ზარიაში. ოლქის სამხედრო გუბერნატორმა პოლკოვნიკმა ჰასან კატსინამ განაცხადა, რომ უშიშროების ორგანოთა მონაცემებით, სიმშვიდე აღდგენილია ჩრდილოეთ ოლქის ყველა რაიონში.

კომენდანტის საათი ჩრდილოეთ ნიგერიის დიდ ქალაქებში შემოიღეს 30 სექტემბერს ჩრდილოეთის ჰაუსას ტომისა და ალმოსავლეთის იბოს ტომის წარმომადგენლებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ, რომლის დროსაც დაიღუპა იბოს ტომის ათასზე მეტი კაცი. კომენდანტის საათი ძალაში რჩება ქალაქებში კანოსა და ჯოსში.

მეგობართა თანამშრომლობა

ვარშავა, 7 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გამართა ეკონომიური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკის საბჭოს სხდომა, ფუწყება პოლონეთის დეპეშათა სააგენტო.

საბჭომ განიხილა გამგეობის მიერ წარდგენილი ბანკის საქმიანობის ანგარიში 1966 წლის პირველ ნახევარში და გადაწყვიტა მანეთის გამოყენების სფეროს გაფართოების ღონისძიებანი იმ ქვეყნებთან, რომლებიც ბანკის წევრები არ არიან, ავრეთვე ბანკის სხვა ოპერაციების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი. საბჭომ განიხილა ავრეთვე ბანკის მომდინარე საქმიანობის საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

პრეზიდენტ ჯონსონის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 7 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ 24-25 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ფილიპინების, ტაილანდის, სამხრეთ კორეისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობათა მეთაურები მანილის თათბირზე წარმოადგენენ ვიეტნამის ომში ამ ქვეყნების „სამხედრო ღონისძიებათა ახალ მიმოხილვას“.

ჯონსონმა თავი აარიდა და პირდაპირი პასუხი არ გასცა კითხვაზე, თუ როგორ აფასებს იგი ყოფილი პრეზიდენტის ეიზენჰაუერის განცხადებას იმის შესახებ, რომ ეიზენჰაუერი არ გამორიცხავს ატომური იარაღის გამოყენებას ვიეტნამის კონფლიქტში. ამასთანავე პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ არ ამირებს „კაპიტულაცია მოახდინოს“ ან „უკან დაიხიოს“ ვიეტნამში.

პრეზიდენტმა ჯონსონმა თქვა, რომ მანილის თათბირამდე ეწვევა ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას, ხოლო მანილის შეხვედრის შემდეგ — ტაილანდს, მალაიზიასა და სამხრეთ კორეას.

კორესპონდენტის კითხვაზე, განზრახულია აქვს თუ არა ჯონსონს ეწვიოს სამხრეთ ვიეტნამს, პრეზიდენტმა უპასუხა, ეს საკითხი ჯერჯერობით არ განიხილება.

პრეზიდენტმა გაიფრთხილა ამერიკის საზოგადოებრიობა, რომ დიდი იმედი არ დაამყაროს მანილის მოლაპარაკებასა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში მოგზაურობაზე.

ბერლინელ ბავშვებს ბანაკი

ბერლინი, 6 ოქტომბერი. (საკდესი). ბერლინის ბავშვთა ბანაკი, ბავშვთა ბანაკი, ბავშვთა ბანაკი — ასეთ ბანერებს ატარებენ ბერლინელ ბავშვებს ბანაკიდან. ბანაკი ბავშვებისა, ბანაკი ბავშვებისა, ბანაკი ბავშვებისა

კომუნისტი
ამბები
ცნობები

თეატრი •

ხეთაგუროველთა სპექტაკლზე

მარტო დედაქალაქში როდი ჩქეფს თეატრალური სისხლსავსე ცხოვრება, მხოლოდ ცენტრში როდი შუმობენ კვალიფიციური რეჟისორები და მსახიობები, რომლებიც თავიანთი გულწრფელი შემოქმედებით მშობლიური ხელოვნების საქმეს პატიოსნად ემსახურებიან.

რასაკვირველია, პერიფერიული თეატრების საშუალებები სულ სხვაა, მათი დასი საგრძნობლად მცირერიცხოვანია, ტექნიკური საშუალებებიც ისეთი არა აქვთ, როგორც დედაქალაქის თეატრებს, ისინი არც პრესისა და თეატრალური კრიტიკის ყურადღებით არიან განებივრებულნი, ზოგჯერ ადგილობრივ გაზეთებსაც გამორჩებათ ხოლმე მათი საქმიანობის აღნიშვნა, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს მათ მიერ განხორციელებული სპექტაკლი სათანადო დონეზე არ იდგეს და მაღალი ვემოვნებისა და მოთხოვნილების მაყურებელი არ ჰყავდეს.

აი ასეთი კოლექტივია სამხრეთ ოსეთის პოსტა ხმოპბერიშის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასი, რომლის ერთ-ერთ სპექტაკლსაც ამ დღეებში დავეს წარით. თეატრმა ვ. ურჯუმელაშვილის კომედია „მძახლები“ წარმოადგინა. გულწრფელად უნდა ითქვას, გაგვიხარა სპექტაკლის პროფესიონალურმა დონემ და მსახიობთა ჩინებულმა თამაშმა.

მართალია, თეატრის მთავარი რეჟისორის სიკო ვაჩნაძის მიერ თავიანად მოწოდებულ პროგრამასა და ცხინვალის ქუჩებში გაკრულ აფიშებზე ვ. ურჯუმელაშვილის „მძახლები“ კომედიად არ არის გამოცხადებული, მაგრამ, ჩვენი აზრით, იგი კომედიაა. თანამედროვე თემაზე დაწერილი საკმაოდ მახვილი და საინტერესო კომედია.

ერთი შეხედვით „მძახლების“ სიუჟეტი თითქოს ორიგინალურით არ გამოირჩევა, მაგრამ იგი საინტერესოა, პირველ რიგში, ცხოვრებისეული სიმართლით, თანამედროვე ყოფის საჭირბოროტო საკითხების დაყენებით, ხასიათების დახატვითა და კომედიური სიუჟეტის ბუნებრივი განვითარებით.

პიესაში ორი ოჯახია დაპირისპირებული: ერთია მშრომელი კოლმეურნე გლეხის წყალობახი და მისი ცოლის თეკლეს ოჯახი, გამრჯე ხელით ნაშენი, და მეორე — დიდი ხნის წინათ სოფლიდან წასული და ქალაქში იოლი ცხოვრების ძაძიებლების — აბესალომისა და ნატალიას მეშჩანური ოჯახი. ამ ორი, ბუნებით სხვადასხვა ოჯახის ურთიერთობა წყალობას ვაჟიშვილის ვახტანგისა და აბესალომის ქალიშვილის მაიას სიყვარულის და შეუღლების ფონზე იშლება, სადაც ბოლოსა და ბოლოს სიმართლე და წესიერება იმარჯვებს, თუმცა ვახტანგსა და მის მშობლებს გამარჯვების მიღწევამდე ბევრი გაჭირვებისა და პირადი დამცირების გადატანა მოუხდებათ. აბესალომისა და ნატალიას ახლოს ფუთფუთებენ ქარაფშუტა, უსაქმო, ვნებებს აყოლილი მერი, ვინ იცის რა საშუალებებითა და რა მაქინაციებით გამდიდრებული დიმიტრი, ხოლო წყალობასა და თეკლეს ირგვლივ ტრიალებენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელი ადამიანები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს, თუ წყალობას სახეს არ ჩავთვლით, უფრო ცოცხლად და რელიეფურად უარყოფითი პერსონაჟები ჰყავს დახატული.

სპექტაკლის დამდგმელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ვაჩნაძე. სპექტაკლში მიზანსცენები ბუნებრივი და ძალდაუტანებელია და ყველაფერი ეკითვენ არის მიმართული, რომ თვითეულ მსახიობს საშუალება მიეცეს ცხოვრებისეული, მართალი სახე წარმოადგინოს. დეკორაციულად სპექტაკლი დამაკმაყოფილებლად გაეფორმებია მხატვარ ვ. ცერცვაძეს, ხოლო მუსიკა თუ სათანადოდ ეკრა ეფერს, ეს პირველ რიგში თეატრის მცირე შესაძლებლობის ბრალია და არა ადგილობრივი ახალგაზრდა კომპოზიტორის ვ. მაღრაძისა.

მსახიობებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვეს. რასაკვირველია, ისინი მეტნაკლები შესაძლებლობითა და მონაცემებით გამოირჩევიან, მაგრამ, რაც მთავარია, კეთილსინდისიერად, პროფესიონალურად და სიყვარულით ასრულებენ თავიანთ როლებს და დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან.

პირველ რიგში აქ უნდა მოვიხსენიოთ მსახიობები რ. პლიევა და ლ. თარხანაშვილი. პირველი ნიჭიერად განასახიერებს მეშჩანური ბუნების ქალს მერის, მეორე — არანაკლები ფუქსავატური ბუნების მქონე ნატალიას. მაიასი და ვახტანგის როლების შემსრულებელი მსახიობები ნ. ჯიმშვილი და ჯ. გოგიჩაშვილი ახალგაზრდები არიან, ჯერ კიდევ უტყობათ სცენური გამოუცდელობა, მაგრამ თავიანთი გულწრფელობით მაყურებლის ყურადღებას იქცევენ. ავტორმა ცოტა მასალა მისცა თეკლესა და ვარლამის როლების შემსრულებლებს, თუმცა ქ. მურჯიკნელი და განსაკუთრებით კი გამოვდიოდა მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. შერეზადაშვილი მაინც ახერხებენ საინტერესოდ წარმოგვიდგინონ თავიანთი სახეები. მსახიობებს მ. გიჩაშვილსა და ზ. გასიეფს წყალობას და აბესალომის როლების სრულყოფილად წარმოსახვისათვის კიდევ დასჭირდებათ მუშაობა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა მსახიობი თ. მეშვილდე. იგი დიმიტრის პატარა როლს თამაშობს, სცენაზე სულ ორჯერ თუ სამჯერ გამოჩნდება, მაგრამ თვითეულ მის გამოჩენას მაყურებელი ხალისით ხვდება.

დამთავრდა სპექტაკლი „მძახლები“. ჩვენ ვხედავდით, როგორ სიამოვნებით სტოვებდნენ ცხინვალელი მაყურებლები დარბაზს. მათი ხალისიანი განწყობილება ერთხელ კიდევ უსვამდა ხაზს იმას, რომ პატარა თეატრშიც შეიძლება შემოქმედებითი გამარჯვების მოპოვება.

ვ. გორგანელი,
ვ. გოგიჩაიშვილი.

სურათზე: სცენა ხეთაგუროველთა სპექტაკლიდან „მძახლები“.

ფოტო ა. პრეკრატიჩისა.

ჩვენი ცხოვრების ფოტომატიანე

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი გაზეთის მკითხველებო!

1967 წელს ჩვენი ქვეყნის ხალხები აღნიშნავენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სახელოვან ორმოცდამეათე წლისთავს.

ფართოდ გაჩაღდა მზადება მეორე დიდი თარიღისთვის — ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელის დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ თარიღების აღსანიშნავად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც ემზადებიან. ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ინტელიგენტური შრომის ადამიანებში დიდი შემოქმედების პათოსია.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს უკეთ აისახოს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, „კომუნისტის“ რედაქციამ გადაწყვიტა გამოაცხადოს ფოტოკონკურსი „საბჭოთა საქართველოს ფოტომატიანე“.

რედაქციისათვის გამოგზავნილ ფოტოსურათებში ასახული უნდა იყოს ქართველი ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება, მის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული წარმატებანი სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში. სურათები უნდა გვიჩვენებდნენ საბჭოთა ადამიანების მაღალ ინტერესებს — მათს შრომას, სწავლას, ყოფაცხოვრებას, დასვენებას.

კონკურსის მონაწილეთა საპატიო ამოცანაა შექმნან ჩვენ თანამედროვეთა — წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა, კომუნისტური შრომის დამკვრელთა, სპეციალისტთა სახეები, გვიჩვენონ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შრომა, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების მშენებლობა, შესანიშნავი ახალგაზრდობის ცხოვრება, მშობლიური ბუნების სილამაზე.

დიდად საინტერესო იქნება ფოტოსურათები, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენი ხალხების მეგობრობაზე, კულტურულ და ეკონომიურ ურთიერთობაზე, ჩვენი ადამიანების ბრძოლაზე მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

როგორც ხედავთ, თემატიკა უაღრესად მრავალფეროვანია და არ ზღუდავს კონკურსის მონაწილეს.

კონკურსზე შეიძლება გამოიგზავნოს ფოტორეპორტაჟები, ფოტომოთხრობები, ტრიპტიხი, ანრეთვე ცალკეული ფოტოგრაფიები: დოკუმენტური, ქრონიკალური, ჟანრული სურათები, ეტიუდები.

კონკურსზე გამოგზავნილი ფოტოსურათების ზომა უნდა იყოს არანაკლებ 13X18 სანტიმეტრისა, კრიალა ქაღალდზე დაბეჭდილი. თვითეულ ფოტოსურათს უნდა დაერთოს ახსნაგანმარტებითი ტექსტი, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, პროფესია და მისამართი.

საუკეთესო ფოტოსურათები ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდება.

საუკეთესო ფოტოსურათებისათვის დადგენილია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი 50 მანეთი.
ორი მეორე 30-30 მანეთი.
სამი მესამე 20-20 მანეთი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ფოტოჟურნალისტებსა და ფოტოოსტატებს, ისე ფოტომოყვარულებსაც.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა ფოტოსურათები უნდა გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას — წარწერით „ფოტოკონკურსისათვის“.

კონკურსისათვის სურათები მიიღება 1967 წლის 15 ოქტომბრამდე.

კონკურსის ვადის გასვლის შემდეგ გაზეთში გამოცხადდება შედეგები და სპეციალური ჟიური პრემიებს მიაკუთვნებს საუკეთესო ნამუშევრებს.

ძვირფასო მკითხველებო! რედაქცია მოელის თქვენგან ფოტოსურათებს კონკურსისათვის.

ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მომენტი. მარცხნიდან მარჯვნივ — ყანრული ფოტოსურათი: რუსთავის წარჩინებული მეფოლადე გ. სებისკვერაძე; ფოტოეტიუდები — „შავი ზღვის პირას“ და „გახარებული ბავშვები“.

სამეცნიერო სესია ერევანში

ერევანი, 6 ოქტომბერი. (საკადესის კორ.) აქ გაიმართა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა გ. ბუნიატიანმა.

სესიის მონაწილეებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ხახელით მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი პროფესორი ა. მეგრელიძე.

მოხსენება — „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. სუვაკმა, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა-მდივანმა ს. ერემიანმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა თემას „შოთა რუსთაველის ეპოქის სომხეთისა და საქართველოს ისტორიისათვის“. შოთა რუსთაველის ეპოქის სომხურ პოეზიაზე ილაპარაკა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. მნაცაკანიანმა. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა პ. მურადიანმა გააკეთა მოხსენება „ვეფხისტყაოსანის“ სომეხი გადამწერები და პოემის სომხური თარგმანები“.

გარათი ატლანტიკიდან

ახლახან გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირისათვის აშენდა თევზსაკერი ტრაულერი „მცხეთა“, რომელიც უკვე გაიდგა თავის პირველ რეისში.

ტრაულერ „მცხეთის“ ეკიპაჟის სახელით პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივნის გ. კავთიაშვილისა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ბ. ლაშხის სახელზე შორეული ატლანტიკიდან მიღებულია ბარათი, რომელშიც ნათქვამია: ხომალდის ეკიპაჟი გიგზავნით გულითად სალამს პირადად თქვენ და რაიონის მშრომელებს და გისურვებთ წარმატებებს შრომასა და პირად ცხოვრებაში. გარწმუნებთ, რომ ტრაულერ „მცხეთის“ ეკიპაჟი ღირსეულად ატარებს თქვენი ქალაქის სახელს და მუდამ იქნება საქართველოს მოწინავე თევზსარეწი ხომალდების რიგებში.

ბარათს ხელს აწერენ კაპიტან-დირექტორი შიმანი, კაპიტნის პირველი თანაშემწე ლობკანიძე და გემკომის თავმჯდომარე ზაქარიაძე.

შეტევა ქიბოზე გრძელდება

კიბოს პრობლემატიკის გზები, მისი დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების მიღების შესაძლებლობა, ექსპერიმენტულად, სიმსივნეთა ქიმიოთერაპია — ამ საკითხებს გაეხიზილავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლენინგრადის ონკოლოგიის ინსტიტუტის გაერთიანებული სესია. იგი გაიხსნა 6 ოქტომბერს საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სხდომათა დარბაზში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ალმა-ათის, ბაკოს, ერევნის, სვერდლოვსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების დაახლოებით 500 მეცნიერი. მათ შორის არიან თვალსაჩინო სპეციალისტები, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ს. ხოლდინი, ლ. ნოვიკოვი, გ. შაბოტი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ა. ჩაკლინი, პროფესორები მ. ალიკბაბეკოვი, ა. კანტი და სხვები.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ს. ხოლდინმა.

პირველ დღეს მოხსენება „ავთვისებიან სიმსივნეთა ეპიდემიოლოგია და კიბოს პროფილაქტიკის ორგანიზაციის საკითხები“ გააკეთა პროფესორმა ა. ჩაკლინმა. ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების პროფილაქტიკისა და დიაგნოსტიკის ძირითად ამოცანებზე ილაპარაკა პროფესორმა ლ. ნოვიკოვამ. პროფესორმა ა. ლებმიჩავამ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატებმა ვ. მცხვედაძემ და რ. ჩიქოვანმა თავისი მოხსენება მიუძღვნეს საქართველოს მოსახლეობისათვის ონკოოლოგიური დახმარების გაწევის საკითხებს. ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ავადმყოფების შრომითს ექსპერტიზას მიუძღვნეს მოხსენებანი ლენინგრადელმა მეცნიერმა პროფესორმა ს. ხოლდინმა, ლ. ბეჩიოზკინმა და ი. ბავლიმ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ა. ლებმიჩავამ საქმიანის ანგარიში გააკეთა ონკოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ონკოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ა. ალიბეგოვმა. ავადმყოფობის ადრეულ ეტაპზე, როცა მედიცინას ჯერ კიდევ არ აქვთ შეგუშავებული ავთვისებიან ახალწარმონაქმნებთან ბრძოლის რადიკალური მეთოდები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი და მკურნალობის არსებული მეთოდების დახვეწას.

კვლევა, რომელიც ახალი ტექნიკის საშუალებით წარმოება, აგრეთვე ამ კვლევის დროს გამოყენებული ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, ელექტრონიკის მიღწევები, მეცნიერებს საშუალებას აძლევს შეიცნონ ავადმყოფობის წარმოქმნისა და განვითარების მექანიზმი.

ამჟამად სულ უფრო ნათელი ხდება, რომ სიმსივნის ზრდის მექანიზმში ჩართულია ერთმანეთთან დაკავშირებული იმდენი სხვადასხვა პროცესი, რომ ყოველი ცალმხრივი მიდგომა კიბოს პრობლემისადმი უსუსური გამოდგებოდა. საკვლევა მიზანდასახული კვლევა. უნდა აღინიშნოს საბჭოთა მეცნიერების მეცადინეობა, რომლებიც იცავენ სწორედ ამ ტაქტიკას თავის მუშაობაში და განუწყვეტლივ აფართოებენ ავთვისებიანი სიმსივნეები პრობლემის გადაჭრის საშუალებებს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერებმა მიიღეს ზოგიერთი ახალი მონაცემი, რომლებიც იცავენ ტერეზენ, რომ კიბოს წარმოშობაში როლს ასრულებენ ვირუსები. მიღებულია პრინციპულად ახალი მონაცემები სიმსივნის ანტიონოლოგიის შესახებ. არის ავრეთვე ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების მკურნალობის თანამედროვე მეთოდების განვითარებაშიც. წარმატებით არის გამოყენებული ახალი ქიმიოთერაპიული პრეპარატები. კიდევ უფრო განვითარდება სიმსივნეთა კობალტქესური მკურნალობის წესები, რომელიც მოიცავენ ქირურგიულ, სხივური და სამკურნალწამალო მეთოდების გამოყენებას.

ქირურგიული მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება უმჯობესად დაკავშირებულია ადრეულ დიაგნოსტიკასთან, რომელსაც მედიცინის სამსახურის ყველა შუშაკა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

სესია 10 ოქტომბრამდე გასტანს. (საკადესი).

კინო უცხოეთში

ფილმის თემაა ტოლსტოის მოთხრობა

კოლონელ კინორეჟისორს ვოიცეხ ხასს განზრახული აქვს ლევ ტოლსტოის მოთხრობის — „რისთვის?“ — ეკრანიზაცია. ფილმზე მუშაობა განხორციელდება საბჭოთა კინემატოგრაფისტებთან ერთად. გადაღება იწარმოებს იმ ადგილებში, სადაც მოთხრობის მთავარი მოქმედება ვითარდება — ურალში. ფილმში მონაწილეობისათვის მიწვეული იქნებიან გამოჩენილი პოლონელი და საბჭოთა კინომსახიობები.

სცენარზე მუშაობს ცნობილი პოლონელი მწერალი ეჟი პომიანოვსკი.

ედუარდო დე ფილიპოს კომედია ეკრანზე

იტალიელი კინორეჟისორი რენატო კასტელიანი, რომლის ფილმს — „ორი გროში ომედი“ — კარგად იცნობს საბჭოთა მაყურებელი, ამჟამად ედუარდო დე ფილიპოს კომედიის — „ოჰ, ეს მოჩვენებები!“ ეკრანიზაციაზე მუშაობს. მთავარ როლს ასრულებს კომედიური როლების სახელგანთქმული შემსრულებელი ვიტორიო გოსმანი.

აღსანიშნავია, რომ გოსმანს მიენიჭა პრემია როგორც 1966 წლის ყველაზე საუკეთესო კომედიურ მსახიობს. ასეთი პრემია სხვადასხვა დროს მიღებული აქვთ კინომსახიობებს ალბერტო სორდის (1962) და ალდო ფაბრიციის (1964), თეატრალურ მსახიობ ქალს ფრანკე ვალერის (1963) და ტელევიზიის მსახიობებს პაოლო პანელის და ბიჩე ვალორის.

ალენ დელონი ჰოლივუდში

ფრანგი მსახიობი ალენ დელონი ჰოლივუდში მიიწვიეს, სადაც მან ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ფილმში „მდინარის გაღმა ტეხასი“. ეს არის სათავგადასავლო ფილმი, როგორც ახლა მას უწოდებენ ვესტერნის ჟანრის ფილმი. ალენ დელონს, როგორც თვითონ ამბობს, ყოველთვის ჰქონდა აღეთ ფილმში მონაწილეობის სურვილი.

დელონი აქ თამაშობს ვინმე დონ ანდრეა ბალდასარს, დე ვასალას ჰერცოგს, რომელიც გადალახავს ოკეანეს, რათა იქ დაკორწინდეს ლამაზ ქალიშვილ როზმარიზე. ამისთვის მას გზაზე ბევრი სიძნელეების გადალახვა უხდება. ფილმში უხვად არის ნაჩვენები ბატონები, ინდიელები, სროლა.

ტელევიზია

9 ოქტომბერი

16.30 — გადაცემათა პროგრამა, 16.35 — „გადაცემა „მოსაველის ზეიმი“, 17.00 — სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია. — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 20.00—სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წამის სამყაროში“ (ქართულ ენაზე), 20.20 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა“, 21.05 „ახალი წიგნები“, 21.35 — „ახალი ამბები“ (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — მხატვრული ფილმი.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 14 საათსა და 35 წ.

9 ოქტომბერი

11.00 — „მაღლიანარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — „იყო და არა იყო რა“.... 11.45 — ლიტერატურული ალმანახი „იუნა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.40 — აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი — ამიერკავკასიის უძველესი ხელოვნება (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — გადაცემათა პროგრამა, 15.55 — ნახევარფინალური მატჩი საბჭოთა კავშირს თასზე — „დინამო“ კიევი-„დინამო“ მინსკი (გადაცემა თბილისიდან. ცენტრალური ტელევიზიისთვის). 17.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 18.15 — დოკუმენტური ფილმი „მიხაკები შეუყვარებულებს სპირდებათ“ (ქართულ ენაზე). 19.15 — „მასწავლებელ დღე“. 19.30 — კონცერტი მასწავლებელთა დასაკვეთით. 20.25 — „სოფლის კლუბი“ — „მოსავლის ზეიმი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 21.30 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან). 20.50 — მხატვრული ფილმი „ჩრდილი გზაზე“. 23.30 — გადმოცემა მოსკოვიდან. 24.00 — „სპექტრი“ — საესტრადო პროგრამა (გადმოცემა სოფიიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყ. დღე 11 საათიდან.

ჩაე ვიცინოთ, ჩაე ეოვისეიროთ

ლიდერთა სამეული

ოლიმპიადაზეზენში, ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის მეოთხე ტურში საბჭოთა გუნდმა ინგლისელთან 2:0 დაამარცხა დანიის ნაკრები. მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელიც შავებით თამაშობდა, უკვე 26-ე სვლაზე იძულებული გახდა ლარსენი დაეყარა ფარ-ხმალი. ყოლლოფსკაიამაც სწრაფად მიაღწია წარმატებას, მან მოიგო ენეგოლდსენს.

უნგარეთისა და რუმინეთის მატჩის შედეგად ფრე — 1:1; იუგოსლავიამ მოუგო ამერიკის შეერთებულ შტატებს — 1,5-0,5. დანარჩენი შეხვედრები დაუთავრებელი დარჩა.

დღეისათვის ლიდერებს რუმინეთსა და იუგოსლავიას 6,5-6,5 ქულა აქვთ, საბჭოთა გუნდი 6 ქულით მესამე ადგილზეა.

„ტორპედოს“ გამარჯვება

გუშინ ლენინგრადში გაიმართა ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ საკლუბო გუნდები.

ორთაბრძოლა მოსკოველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ბრედნევმა და სტრელცოვმა (ორი). მოსკოველი „ტორპედო“ თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

მეორე ფინალისტს გამოავლენს კიევისა და მინსკის დინამოელთა მატჩი, რომელიც ხვალ თბილისში გაიმართება.

ქართველი ჩოგბურთელები ფინალში

დასასრულს უახლოვდება სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩოგბურთში. სულ უფრო დაღაბული და საინტერესო ხდება შეჯვედრები, იმსხვრევა პროგნოზები. სენსაციური იყო მეოთხეფინალები ქალთა შორის.

სენსაციის ავტორი იყო ქართველი ჩოგბურთელი ამერანდაძე, რომელმაც ბრწყინვალედ დაამარცხა ჩემპიონატის ფავორიტი დმიტრიევა — 7:5, 6:4, წარმატებით იბრძოდა ო. ამერანდაძე ნახევარფინალშიც, ახლა ქართველი ჩოგბურთელი ქალის მეფლისთვის ბრძოლაში გ. ბაბაშვილი ეცილება ზეხვედრებს. მერეულ წყვილთა ფინალში გავიდნენ დმიტრიევა-მეტრეველი და ბაკაშვილი-ლეონოვი.

ვაჟთა ერთეულთა თანრიგში ქართველი ჩოგბურთელი კაკულია გამოეთიშა ასპარეზობას, მან წააგო მეოთხედფინალში ლიხაჩოვთან. ქალთა წყვილებში ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ბაკაშვილი-დმიტრიევა და ივანოვა-ეფიმოლოვა, ეს ორი წყვილებში ლეონეს-ლიხაჩოვი და ალროტკოვ-ეგოროვი.

გუშინ გაიმართა ნახევარფინალური ორთაბრძოლები ვაჟთა შორის. ვ. ეგოროვმა მოიგო თ. ლეონეს, ხოლო ა. ალროტკოვმა—ს. ლიხაჩოვს. სწორედ მეტრეველსა და ეგოროვის მატჩი გამოავლენს ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონს.

სპორტული ქრონიკა

△ **საბჭოთა ნაკრების** მეტოქე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ავსტრიელ ფეხბურთელთა გუნდი დამარცხდა სტოკჰოლმში შვედეთის ნაკრებთან ორთაბრძოლაში — 1:3.

△ **ევროპის** ჩემპიონატზე ქალთა ნაკრების გამოვლინდა უძლიერესი ოთხეული. ნახევარფინალში შეხვდებიან ინგლისელები — ბულგარელები და ჩეხოსლოვაკიელ-გდრ-ელები.

ახალი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში აღნიშნული იყო ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ხოლო დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: ზუგდიდში, ცაგერში, ლეგეძორში, სამტრედიაში, გარდაბანში — 25 გრადუსი, გაგრაში, ცხინვალში, ქობულეთში, გორში, თბილისში — 24, სოხუმში, ფოთში, ბათუმში, ხაშურში, ლაგოდეხში— 23, ახასელოში, ტყიბულში, მესტიაში, გურჯაანში — 22, დუშეთში, ბოლნისში, თელავში, ბორჯომში — 21, ფასანაურში, საგარეჯოში — 20, თიანეთსა და სიღნაღში — 19 გრადუსი.

დღეს დასავლეთ საქართველოში კვლავ მშრალ ამინდს ვარაუდობენ, იქროლებს სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში — 23-27, მთაში — 15-20 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი იქნება. დაუბერავს სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში 19-24, მთაში — 14-19 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 22-24 გრადუსი.

კვირას, 9 ოქტომბერს

დღის 12 საათზე თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება სახალხო ზეიმი, მიძღვნილი

სოფლის მეურნეობის მუშაკის საკავშირო დღისადმი

პროგრამაშია: ქართული ეროვნული ცხენოსნური თამაშობანი (ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი), დოღი, ჩორთმავალი ცხენების რბოლა და სხვ., საცირკო ხელოვნების ოსტატთა გამოსვლები,

თამარ მეფის ლაშქრობის ინსცენირება რესპუბლიკის საუკეთესო მსახიობებისა და ცხენოსნების მონაწილეობით.

ქართული ქორწილის ინსცენირება.

დაწესებულია შოთა რუსთაველის სახელობის ჯილდოები დოღში, რბოლაში, ცხენბურთში, ისინდში და ყაბახში გამარჯვებულთათვის.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08, 9-03-09, 3/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-20, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი: ჯ. ტელევიზორები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ-12813

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.